სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორის ბრძანება № 1

20 სექტემბერი, 2019 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის N148/2016 დადგენილებით დამტკიცებული თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის ,,ლ" და ,,მ" ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის ხვედრი ინასარიძის, მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის მამუკა ჯიბლაძის, გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თორნიკე ქადეიშვილის, მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ვახტანგ კოკილაშვილის, დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის ივანე კიღურაძის, მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის როლანდ დუდუჩავას, დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელის ნუგზარ შავლაყაძის, თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის მერაბ ელიაშვილის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელის მიხეილ მანიასა და სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის გამგის მაია კვინიკაძის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნინო ფარცვანია